

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ.გორი

29 ნოემბერი 2008 წელი

შ.პ.ს სუხიშვილის უნივერსიტეტსა და სსიპ – გორის უნივერსიტეტს შორის

ერთის მხრივ სსიპ – გორის უნივერსიტეტი მისი რექტორის, პროფესორ ზაზა ცოტნიაშვილის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს სუხიშვილის უნივერსიტეტი მისი რექტორის, პროფესორ ვლადიმერ სუხიშვილის სახით.

გამოთქვამენ რა თანამშრომლობის სურვილს, იმის შეგნებით, რომ საჩოქალაქო საზოგადოების აშენება და დასავლურ სამყაროსთან და ევროკავშირთან ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის ძირითადი პრიორიტეტია, ეს მიზანი კი მიიღწევა დასავლური სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების აღზრდით.

დარწმუნებული რომ ასეთი სპეციალისტების აღზრდა შეუძლებელია კონკრეტული გარემოს შექმნის, უმაღლესი სასწავლებლების მატერიალური, პროგრამული თუ მორალური მხარდაჭერისა და ხელშეწყობის გარეშე.

იმის აღიარებით, რომ მორალური მხარდაჭერა და ხელშეწყობა უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას,

გაერთიანებული იდეით, რომ მსაგვსი თანამშრომლობა ნაყოფიერია და ხელს შეუწყობს უნივერსიტეტების მომავალი საქმიანობის წარმატებულად განხორციელებას,

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

გორის უნივერსიტეტი და სუხიშვილის უნივერსიტეტი ითანამშრომლებენ სტუდენტთა თანამედროვე პროგრამებით მომზადებასა და კვალიფიკაციის დონის ამაღლების მიმართულებით, რაც გულისხმობს სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების შემუშავებას, ერთობლივი კონფერენციების, სემინარებისა და ტრენინგების მოწოდებას.

მუხლი 2.

გორის უნივერსიტეტი და სუხიშვილის უნივერსიტეტი ითანამშრომლებენ ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ცოდნისა და კვლევითი მეთოდების გაუმჯობესებას.

მუხლი 3.

მხარეები უზრუნველყოფენ ერთობლივი კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო-შემეცნიერებითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

მუხლი 4.

მხარეები უზრუნველყოფენ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის წიგნადი და არაწიგნადი ფონდების ერთობლივ გამოყენებას.

მუხლი 5.

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

მუხლი 6.

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 7.

მემორანდუმში შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ვერსიებლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 8.

წინამდებარე მემორანდუმში ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

შ.პ.ს. სუხიშვილის უნივერსიტეტი
ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი №9
☎ 8 (270) 7-05-57; 8 (270) 7-24-08

რექტორი, პროფესორი:
ვალერი სუხიშვილი



სსიპ გორის უნივერსიტეტი
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №53
☎ 8 (270) 7 24 13;
ფაქსი: 8 (270) 7 35 54

რექტორი, პროფესორი:
სოსო ცოცხლაძე

